საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

საქართველოს სტანდარტი

შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები სახელმძღვანელო მითითებებით შემდგომი გამოყენებისთვის

სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

თბილისი

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

საინფორმაციო მონაცემები

1 შემოტანილია: სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის მიერ.

განხილულია სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის ტკ 2 „მენეჯმენტი და შესაბამისობის შეფასება“ მიერ.

2 მიღებულია: სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2020 წლის 29 ივნისის №73 განკარგულებით სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის ტკ 2 „მენეჯმენტი და შესაბამისობის შეფასება“ გადაწყვეტილების საფუძველზე.

3 წინამდებარე სტანდარტი წარმოადგენს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ისო-ს) სტანდარტის ისო 45001:2018 „შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები სახელმძღვანელო მითითებებით შემდგომი გამოყენებისთვის“ იდენტურ თარგმანს.

4 პირველად

5 რეგისტრირებულია: სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს საქართველოს სტანდარტების რეესტრში 2020 წლის 29 ივნისი №268-1.1-00405

წინამდებარე სტანდარტის ნებისმიერი ფორმით გავრცელება სააგენტოს
ნებართვის გარეშე აკრძალულია

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

სარჩევი

წინასიტყვაობა		V
შესავალი		VI
1	გამოყენების სფერო	1
2	ნორმატიული მითითებები	2
3	ტერმინები და განმარტებები	2
4	ორგანიზაციის კონტექსტი	13
4.1	ორგანიზაციის და მისი კონტექსტის გააზრება	13
4.2	მუშაკებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების საჭიროებებისა და მოლოდინების გააზრება	14
4.3	შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) მენეჯმენტის სისტემის გამოყენების სფეროს დადგენა	14
4.4	შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) მენეჯმენტის სისტემა	14
5	ლიდერობა და მუშაკების მონაწილეობა	14
5.1	ლიდერობა და ვალდებულება	14
5.2	შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) პოლიტიკა	15
5.3	ორგანიზაციული როლები, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებები	16
5.4	მუშაკების კონსულტაცია და მონაწილეობა	16
6	დაგეგმვა	18
6.1	რისკებისა და შესაძლებლობების მიმართ გატარებული ღონისძიებები	18
6.1.1	ზოგადი	18
6.1.2	საფრთხის იდენტიფიკაცია და რისკებისა და შესაძლებლობების შეფასება	19
6.1.3	საკანონმდებლო მოთხოვნებისა და სხვა მოთხოვნების დადგენა	21
6.1.4	დაგეგმვის ღონისძიება	21
6.2	შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) მიზნები და მათი მიღწევის დაგეგმვა	22
6.2.1	შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) მიზნები	22
6.2.2	შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) მიზნების მიღწევის დაგეგმვა	22
7	მხარდაჭერა	23
7.1	რესურსები	23
7.2	კომპეტენცია	23
7.3	გათვითცნობიერება	

წინამდებარე სტანდარტის ნებისმიერი ფორმით გავრცელება სააგენტოს
ნებართვის გარეშე აკრძალულია

7.4 კომუნიკაცია 24
7.4.1 ზოგადი 24
7.4.2 შიდა კომუნიკაცია 24
7.4.3 გარე კომუნიკაცია 25
7.5 დოკუმენტირებული ინფორმაცია 25
7.5.1 ზოგადი 25
7.5.2 შედგენა და განახლება 25
7.5.3 დოკუმენტირებული ინფორმაციის კონტროლი 26
8 მოქმედება 26
8.1 ოპერაციული დაგეგმვა და კონტროლი 26
8.1.1 ზოგადი 26
8.1.2 საფრთხეების აღმოფხვრა და შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) რისკების შემცირება 27
8.1.3 ცვლილებების მენეჯმენტი 27
8.1.4 შესყიდვები 28
8.2 საგანგებო მდგომარეობებისთვის მზადყოფნა და რეაგირება 29
9 საქმიანობის შედეგების შეფასება 29
9.1 მონიტორინგი, გაზომვა, ანალიზი და საქმიანობის შედეგების შეფასება 29
9.1.1 ზოგადი 29
9.1.2 შესრულების შეფასება 30
9.2 შიდა აუდიტი 31
9.2.1 ზოგადი 31
9.2.2 შიდა აუდიტის პროგრამა 31
9.3 მენეჯმენტის მიმოხილვა 32
10 გაუმჯობესება 33
10.1 ზოგადი 33
10.2 ინციდენტი, შეუსაბამობა და მაკორექტირებელი ღონისძიება 33
10.3 მუდმივი გაუმჯობესება 34

დანართი A (საინფორმაციო) სახელმძღვანელო წინამდებარე დოკუმენტის გამოყენებაზე 35
ბიბლიოგრაფია 59
ტერმინთა საძიებელი 60

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

წინამდებარე სტანდარტის ნებისმიერი ფორმით გავრცელება სააგენტოს ნებართვის გარეშე აკრძალულია

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

წინასიტყვაობა

ისო (სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია) არის სტანდარტების ეროვნული ორგანოების (ისო-ს წევრების) მსოფლიო ფედერაცია. ჩვეულებრივ, საერთაშორისო სტანდარტების მომზადების სამუშაო სრულდება ისო-ს ტექნიკური კომიტეტების მიერ. ტექნიკური კომიტეტი შექმნის საკითხით დაინტერესებულ ყოველ წევრ ორგანოს უფლება აქვს წარმოდგენილი იყოს ამ კომიტეტში. სამთავრობო და არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციები, ისო-სთან თანამშრომლობით, ასევე მონაწილეობენ ამ სამუშაოებში. ისო მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო ელექტროტექნიკურ კომისიასთან (იეკ-თან) ელექტროტექნიკური სტანდარტიზაციის ყველა საკითხთან დაკავშირებით.

წინამდებარე დოკუმენტის შემუშავებისა და მისი შემდგომი შენარჩუნებისთვის გამოყენებული პროცედურები აღწერილია ისო/იეკ დირექტივების პირველ ნაწილში. ცალკეულ შემთხვევაში მითითებული უნდა იყოს, რომ ისო-ს განსხვავებული სახეობის დოკუმენტებისთვის საჭიროა განსხვავებული დამტკიცების კრიტერიუმები. წინამდებარე დოკუმენტის მონახაზი შემუშავდა ისო/იეკ სარედაქციო წესების მე-2 ნაწილის მიხედვით (იხილეთ www.iso.org/directives).

ყურადღება ექცევა შესაძლებლობას, რომ წინამდებარე დოკუმენტის ზოგიერთი ელემენტი შესაძლოა იყოს საპატენტო უფლებების საგანი. ისო არ უნდა იყოს პასუხისმგებელი ყველა ან ნებისმიერი ასეთი საპატენტო უფლებების იდენტიფიცირებაზე. დოკუმენტის შემუშავებისას იდენტიფიცირებული ნებისმიერი საპატენტო უფლებების დეტალები მოცემული იქნება შესავალში და/ან მიღებულ საპატენტო დეკლარაციების ისო-ს ნუსხაში (იხილეთ www.iso.org/patents).

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებული ნებისმიერი სავაჭრო სახელი არის ინფორმაცია მომხმარებელთა უპირატესობისთვის და არ წარმოადგენს მოწონების საგანს. შესაბამისობის შეფასებასთან დაკავშირებული ისო-ს ცალკეული ტერმინების და გამოთქმების მნიშვნელობის ახსნისთვის, ისევე როგორც ისო-ს მიერ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (ვმო) პრინციპების დაცვაზე ვაჭრობის ტექნიკურ ბარიერებში (ტბტ), იხილეთ შემდეგი ლინკი: www.iso.org/iso/foreword.html.

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია ისო/პკ 283, შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემები, პროექტის კომიტეტის მიერ:

წინამდებარე სტანდარტის ნებისმიერი ფორმით გავრცელება სააგენტოს
ნებართვის გარეშე აკრძალულია

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

შესავალი

0.1 მიმოხილვა

ორგანიზაცია პასუხისმგებელია მუშაკებისა და იმ ადამიანების შრომის ჰიგიენასა და უსაფრთხოებაზე, რომლებზეც გავლენას ახდენს მისი საქმიანობები. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს მათი ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და დაცვას.

შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) მენეჯმენტის სისტემის შემოღება გამიზნულია იმისათვის, რომ ორგანიზაციამ შეძლოს, უზრუნველყოს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო ადგილები, მოახდინოს სამუშაოსთან დაკავშირებული დაზიანებისა და ჯანმრთელობის გაუარესების პრევენცია და მუდმივად გააუმჯობესოს თავისი შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების საქმიანობის შედეგები.

0.2 შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემის ამოცანა

შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) მენეჯმენტის სისტემის დანიშნულებაა შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) რისკებისა და შესაძლებლობების სამართავად სტრუქტურის წარმოდგენა. შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) მენეჯმენტის სისტემის ამოცანა და გამიზნული შედეგებია, მოახდინოს სამუშაოსთან დაკავშირებული დაზიანებისა და ჯანმრთელობის გაუარესების პრევენცია და უზრუნველყოს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო ადგილები; შესაბამისად, ორგანიზაციისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია აღმოფხვრას საფრთხეები და დაიყვანოს შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) რისკები მინიმუმამდე შედეგიანი პრევენციული და დამცავი ზომების გატარებით.

როდესაც ორგანიზაციის მიერ თავისი შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) მენეჯმენტის სისტემის ფარგლებშია გამოყენებული ეს ზომები, ისინი აუმჯობესებს შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) საქმიანობის შედეგებს. შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) მენეჯმენტის სისტემა იქნება უფრო ეფექტური და შედეგიანი, როდესაც ტარდება ადრეული ღონისძიებები შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) საქმიანობის შედეგების შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად.

წინამდებარე დოკუმენტის შესაბამისად შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) მენეჯმენტის სისტემის დანერგვა საშუალებას აძლევს ორგანიზაციას მართოს მისი შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) რისკები და გააუმჯობესოს შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) საქმიანობის შედეგები. შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) მენეჯმენტის სისტემა შესაძლოა, დაეხმაროს ორგანიზაციას, დააკმაყოფილოს მისი საკანონმდებლო მოთხოვნები და სხვა მოთხოვნები.

წინამდებარე სტანდარტის ნებისმიერი ფორმით გავრცელება სააგენტოს
ნებართვის გარეშე აკრძალულია

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

0.3 წარმატების ფაქტორები

შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) მენეჯმენტის სისტემის დანერგვა ორგანიზაციისთვის სტრატეგიული და ოპერაციული გადაწყვეტილებაა. შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) მენეჯმენტის სისტემის წარმატება დამოკიდებულია ორგანიზაციის ყველა დონისა და ფუნქციონალური რგოლის ლიდერობაზე, ვალდებულებასა და მონაწილეობაზე.

შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) მენეჯმენტის სისტემის დანერგვა და შენარჩუნება, მისი შედეგიანობა და გამიზნული შედეგების მიღწევის უნარი დამოკიდებულია რამდენიმე ძირითად ფაქტორზე, რომლებიც შესაძლოა მოიცავდეს:

a) უმაღლესი მენეჯმენტის ლიდერობას, ვალდებულებას, პასუხისმგებლობებსა და უფლებამოვალეობას;

b) უმაღლესი მენეჯმენტის მიერ ორგანიზაციაში ისეთი კულტურის შემუშავებას, გაძღოლასა და მხარდაჭერას, რომელიც ხელს უწყობს შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) მენეჯმენტის სისტემის გამიზნულ შედეგებს;

c) კომუნიკაციას;

d) მუშაკების და, თუ არიან, მუშაკების წარმომადგენლების კონსულტაციასა და მონაწილეობას;

e) საჭირო რესურსების გამოყოფას მენეჯმენტის სისტემის შენარჩუნების მიზნით;

f) შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება ორგანიზაციის საერთო სტრატეგიულ მიზნებსა და მიმართულებას;

g) შედეგიან პროცესს (პროცესებს) საფრთხეების გამოვლენის, შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) რისკების კონტროლისა და შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) შესაძლებლობების გამოყენებისთვის;

h) შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) საქმიანობის შედეგების გაუმჯობესების მიზნით შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) მენეჯმენტის სისტემის საქმიანობის შედეგების მუდმივ შეფასებასა და მონიტორინგს;

i) ორგანიზაციის ბიზნესპროცესებში შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) მენეჯმენტის სისტემის ინტეგრაციას;

j) შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) მიზნებს, რომლებიც შეესაბამება შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) პოლიტიკას და ითვალისწინებს ორგანიზაციის საფრთხეებს, შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) რისკებსა და შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) შესაძლებლობებს;

k) საკანონმდებლო მოთხოვნებსა და სხვა მოთხოვნების შესრულება.

წინამდებარე დოკუმენტის წარმატებული დანერგვის გასაჯაროება, შესაძლოა გამოყენებული იყოს ორგანიზაციის მიერ მუშაკებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების დასარწმუნებლად, რომ შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) მენეჯმენტის სისტემა შედეგიანია. თუმცა, წინამდებარე დოკუმენტის შემოღება

წინამდებარე სტანდარტის ნებისმიერი ფორმით გავრცელება სააგენტოს
ნებართვის გარეშე აკრძალულია

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

თავისთავად არ იძლევა მუშაკების სამუშაოსთან დაკავშირებული დაზიანებისა და ჯანმრთელობის გაუარესების პრევენციის, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო ადგილების მომზადებისა და შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) საქმიანობის გაუმჯობესებული შედეგების გარანტიას.

წარმატებული შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) მენეჯმენტის სისტემის უზრუნველყოფისთვის საჭირო დოკუმენტირებული ინფორმაციის დეტალიზების დონე, სირთულე, მოცულობა და რესურსები დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე, როგორებიცაა:

- ორგანიზაციის კონტექსტი (მაგ., მუშაკების რაოდენობა, ზომა, გეოგრაფია, კულტურა, საკანონმდებლო მოთხოვნები და სხვა მოთხოვნები);

- ორგანიზაციის შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) მენეჯმენტის სისტემის გავრცელების სფერო;

- ორგანიზაციის საქმიანობებისა და მასთან დაკავშირებული შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) რისკების ხასიათი.

0.4 ციკლი დაგეგმე-გააკეთე-შეამოწმე-იმოქმედე

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებული შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) მენეჯმენტის სისტემის მიდგომა დაფუძნებულია დაგეგმე-გააკეთე-შეამოწმე-იმოქმედე (PDCA) კონცეფციაზე.

PDCA კონცეფცია არის განმეორებადი პროცესი, რომელიც გამოიყენება ორგანიზაციების მიერ მუდმივი გაუმჯობესების მისაღწევად. ის მენეჯმენტის სისტემისა და თითოეული ინდივიდუალური ელემენტისთვის შესაძლოა გამოიყენებოდეს შემდეგნაირად:

a) დაგეგმე: დაადგინე და შეაფასე შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) რისკები, შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) შესაძლებლობები და სხვა რისკები და სხვა შესაძლებლობები, ჩამოაყალიბე შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) მიზნები და პროცესები, რომლებიც საჭიროა ორგანიზაციის შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) პოლიტიკის შესაბამისი შედეგების მისაწოდებლად;

b) გააკეთე: დანერგე პროცესები დაგეგმილის მიხედვით;

c) შეამოწმე: მონიტორინგი ჩაატარე და შეაფასე საქმიანობები და პროცესები შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) პოლიტიკის და შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) მიზნების მიმართ და წარმოადგინე შედეგები;

d) იმოქმედე: გაატარე ღონისძიებები, შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) საქმიანობის შედეგების მუდმივად გასაუმჯობესებლად და გამიზნული შედეგების მისაღწევად.

წინამდებარე სტანდარტის ნებისმიერი ფორმით გავრცელება სააგენტოს
ნებართვის გარეშე აკრძალულია

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

წინამდებარე დოკუმენტი აერთიანებს PDCA კონცეფციას ახალ სტრუქტურასთან, როგორც ნაჩვენებია ნახაზ 1-ში.



შენიშვნა: ფრჩხილებში მოცემული ციფრები მიუთითებს წინამდებარე დოკუმენტის თავების ნომრებს.

ნახაზი 1— წინამდებარე დოკუმენტის სტრუქტურასა და PDCA ციკლის შორის სტრუქტურის ურთიერთკავშირი

0.5 წინამდებარე დოკუმენტის შინაარსი

წინამდებარე დოკუმენტი შეესაბამება ისო-ს მოთხოვნებს მენეჯმენტის სისტემის სტანდარტებისთვის. ეს მოთხოვნები მოიცავს მაღალი დონის სტრუქტურას, იდენტურ ძირითად ტექსტსა და საერთო ტერმინებს ძირითადი განმარტებებით, რომლებიც შემუშავებულია მომხმარებლების სარგებლიანობისათვის და, ასევე, ნერგავს ისო-ს მენეჯმენტის სისტემის რამდენიმე სტანდარტს.

წინამდებარე დოკუმენტი არ მოიცავს სპეციფიკურ მოთხოვნებს ისეთი საკითხების მიმართ, როგორებიცაა: ხარისხი, სოციალური პასუხისმგებლობა, გარემოს დაცვა, უსაფრთხოება ან ფინანსური მენეჯმენტი, თუმცა მისი ელემენტები შესაძლოა, გაერთიანებული ან ინტეგრირებული იყოს სხვა მენეჯმენტის სისტემების ელემენტებთან.

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს მოთხოვნებს, რომლებიც შესაძლოა გამოიყენებოდეს ორგანიზაციის მიერ შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემის დანერგვისა და შესაბამისობის შესაფასებისთვის. ორგანიზაცია, რომელსაც სურს წინამდებარე დოკუმენტთან შესაბამისობის გასაჯაროება, ამას მიაღწევს:

- თვითგამორკვევითა და თვითდეკლარირებით, ან

წინამდებარე სტანდარტის ნებისმიერი ფორმით გავრცელება სააგენტოს ნებართვის გარეშე აკრძალულია

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

- მისი შესაბამისობის დადასტურების მოძიებით მხარეების მიერ, რომლებიც დაინტერესებული არიან ორგანიზაციით, მაგალითად, მომხმარებლები, ან

- მისი თვითდეკლარირების დადასტურების მოძიებით ორგანიზაციის გარე მხარის მიერ, ან

- მისი შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების (OH&S) მენეჯმენტის სისტემის სერტიფიკაციის/რეგისტრაციის მოძიებით გარე ორგანიზაციის მიერ.

წინამდებარე დოკუმენტის თავები 1-დან 3-მდე წარმოადგენს გავრცელების სფეროს, ნორმატიულ მითითებებს, ტერმინებს და განმარტებებს, რომლებიც გამოიყენება წინამდებარე დოკუმენტის მოხმარებისთვის, ხოლო თავები 4-დან 10-მდე მოიცავს მოთხოვნებს, რომლებიც გამოიყენება წინამდებარე დოკუმენტთან შესაბამისობის შესაფასებლად. დანართი A უზრუნველყოფს ინფორმაციულ განმარტებებს ამ მოთხოვნებისთვის. მე-3 თავში მოცემული ტერმინები და განმარტებები დალაგებულია კონცეფტუალური თანმიმდევრობით, დოკუმენტის ბოლოს მოცემული ანბანური ინდექსით.

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულია ქვემოთ მოცემული სიტყვიერი ფორმები:

a) „უნდა“ (shall - აუცილებელია) მიუთითებს მოთხოვნაზე;

b) „სასურველი“ (should - სასურველია) მიუთითებს რეკომენდაციაზე;

c) „შესაძლოა“ (may) მიუთითებს ნებართვაზე;

d) „შეუძლია“ (can) მიუთითებს შესაძლებლობაზე ან უნარზე.

ინფორმაცია, რომელიც აღნიშნულია, როგორც „შენიშვნა“, არის გზამკვლევი მოთხოვნის გაგებისა და გამარტივებისთვის. მე-3 თავში გამოყენებული „შენიშვნები გასათვალისწინებლად“ უზრუნველყოფს დამატებით ინფორმაციას, რომელიც ავსებს ტერმინოლოგიურ ინფორმაციას და შესაძლოა შეიცავდეს ტერმინის გამოყენების პირობას.

წინამდებარე სტანდარტის ნებისმიერი ფორმით გავრცელება სააგენტოს
ნებართვის გარეშე აკრძალულია